ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება: ეთნოლოგია / Ethnology

მისანიჭებელი კვალიფიკაცია: ეთნოლოგიის მაგისტრი / Master of Arts in Ethnology
სპეციალობა: ეთნოლოგია

პროგრამის მოცულობა კრედიტებით: სამაგისტრო პროგრამის მოცულობა 120 ECTS კრედიტი. სავადებულო კურსების კრედიტების რაოდენობა – 45, სავალდებულო საველე პრაქტიკა – 5 კრედიტი, არჩევითი სასწავლო კურსების კრედიტების რაოდენობა – 40 კრედიტი, სამაგისტრო სადიპლომო ნაშრომი 30 კრედიტი.

სწავლების ენა – ქართული.

პროგრამის მიზანი: სამაგისტრო პროგრამის მიზანია მოამზადოს თანამედროვე ეთნოლოგიური მეთოდების, თეორიებისა და პრაქტიკული ცოდნის მქონე სპეციალისტები, რომელთაც შეეძლებათ მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანონ თანამედროვე ქართული სახელმწიფოს შენებაში პრაქტიკული კვლევების განხორიელების, ისტორიული ფაქტების რეკონსტრუციის, მოვლენების პროგნოზირება-მართვის უნარისა და რეკომენდაციების შემუშავების გზით. ეთნოლოგიური დისციპლინების მიზანი საველე მონაცემების საფუძველზე, ერთი მხრივ, ხალხების ეთნოგენეზისა და კულტურულ-ისტორიული კავშირების, მეორე მხრივ, მსოფლიოს ხალხთა სოციო-კულტურული განსხვავებულობის რელატივისტური შესწავლაა. თანამედროვეობის მოთხოვნებმა დამატებითი კორექტივები შეიტანა, როგორც დისციპლინების მეთოდიკასა და მეთოდოლოგიაში, ასევე განსახილველი პრობლემებისა და საკითხების ნუსხაში. ეთნოლოგიურ კვლევებს, ეთნოგრაფიული რეალიებისა და მოვლენების ახსნის საფუძველზე შემუშავებულ რეკომენდაციებს სახელმწიფოებრივი მნიშვნელობა ენიჭება. ეთნოლოგების მომზადებას პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს თანამედროვე ქართული სახლემწიფოსთვის, რადგან დღეისთვის და მომავალშიც ქართული სახელმწიფოსა და პოლიტიკის განსაკუთრებული ყურადღების ობიექტი უნდა იყოს რეგიონში ისტორიული და მიმდინარე ეთნო-კულტურული პროცესები. ეთნოლოგიური კვლევის აქტუალობა ქართული სახელმწიფოს გეოპოლიტიკური მდგომარეობისა და სახელმწიფოებრივი მშენებლობის დღევანდელი საჭიროებებიდანაც გამომდინარეობს. საქართველოს გაუძნელდება სახელმწიფოებრიობის განმტკიცება და განვითარება თუ არ ეყოლება სპეციალისტები, რომლებიც სათანადო ეთნოლოგიური ცოდნის საფუძველზე შეძლებენ პროგნოზირებადი გახადონ საქართველოსა და მის მიმდებარე რეგიონებში მიმდინარე ინტერეთნიკური პროცესები.
პროგრამით გათვალისწინებული სტუდენტზე ორიენტირებული, კომპლექსური სწავლება მიზანმიმართულია სტუდენტის მრავალმხრივი ინტერესებისა და მოთხოვნების დაკმაყოფილებისაკენ, მისთვის პიროვნული და აკადემიური თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის, ეთიკური იდეალების, კრიტიკული, შემოქმედებითი და პროგრესული აზროვნების გამომუშავებისკენ; კონკურენტუნარიანი პროფესიული კადრის განვითარების, სრულფასოვანი მოქალაქის ჩამოყალიბებისა და ახალგაზრდებში ეროვნულ–ზოგადსაკაცობრიო ღირებულებათა დამკვიდრებისაკენ.

სამაგისტრო პროგრამაზე მიღების (დაშვების) წინაპირობები:

- ბაკალავრის ხარისხი ჰუმანიტარულ ან სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებებში;
- საერთო სამაგისტრო გამოცდა.
- სავალდებულოა ინგლისური/გერმანული/ფრანგული ენის B 1 დონეზე ცოდნის დადასტურება გამოცდით ან საერთაშორისო აღიარების მქონე სერთიფიკატით (სამაგისტრო პროგრამის დამთავრებამდე B 2 დონემდე ენის ცოდნის გაუმჯობესების პერსპექტივით).

სწავლების შედეგი: პროგრამის განხორციელების შედეგი იქნება კვალიფიციური სპეციალისტების მომზადება ეთნოლოგიის დარგში. მათ ექნებათ უნარი განავითარონ ორიგინალური საკვლევი ჰიპოთეზა, იმუშაონ ინტერდისციპლინარული მიდგომებით და მოახდინონ ცოდნის ინტეგრირება. პროგრამის კურსდამთავრებულები შეძლებენ დამოუკიდებელი კვლევები აწარმოონ საზოგადოების ეთნო-კულტურული პრობლემის შესასწავლად. სწავლის დასრულებისათვის მაგისტრებს ექნებათ თეორიული ცოდნა კავკასიის ხალხთა და საქართველოს ეთნოლოგიაში, რომელიც შეჯერებული იქნება პრაქტიკულ უნართან დაგეგმონ და

აწარმოონ ეთნოლოგიური კვლევები, მოახდინონ შეკრებილი მასალის ანალიზი და სინთეზი, მოამზადონ და საჯაროდ წარადგინონ სამაგისტრო ნაშრომი. მაგისტრანტებს გამოუმუშავდებათ ინდივიდუალური, ჯგუფური და ჯგუფთან მუშაობის უნარი. ტრანსფერული უნარებიდან გამოუმუშავდებათ, აგრეთვე ახალ სიტუაციაში ადაპტირების, მოპოვებული მასალისა და ინფორმაციის კრიტიკული ანალიზის უნარი და ეთნიკური პრობლემებისადმი ცნობიერი დამოკიდებულება.

ეთნოლოგიის სამაგისტრო პროგრამის სწავლების შედეგებია:

ცოდნა-გაცნობიერება: ეთნოლოგიის სამაგისტრო პროგრამის კურიკულუმით გათვალისწინებული თეორიული და პრაქტიკული სასწავლო დისციპლინების მასალის ათვისების საფუძველზე კურსდამთავრებული მიიღებს აკადემიურ ცოდნას ეთნოლოგიის ყველა პრობლემის შესახებ. კურსდამთავრებულს ექნება ცოდნა კავკასიის ხალხთა ეთნოგენეზის, ეთნიკური ისტორიისა და ეთნიკური კულტურის შესახებ; ეთნოგრაფიული მუზეუმთმცოდნეობის და სამუზეუმო საქმის ცოდნა; იცნობს ქართველი ხალხის, კავკასიის ხალხებისა და მსოფლიოს ხალხების ფიზიკური ანთროპოლოგიის პრობლემებს, კავკასიის ხალხების ფორმირებისა და ეთნიკური ისტორიის პრობლემებს. იცის ტრადიციული სულიერი კულტურის რელიგიური სიტუაცია, რელიგიური და ზნეობრივი ნ ორმები, ისტორიული მახსოვრობის, დღესასწაულების, მენტალობის, ხალხური შემოქმედების, საერთოდ, ტრადიციული ცხოვრების წესის სხვა მრავალი ელემენტი. იცის ქართული ხალხური დღესასწაულები, მათი ტრანსფორმაციის პროცესები, ისტორიული განვითარების დინამიკა და არეალი, ქართველთა მატერიალური კულტურის განვითარების ისტორია, მისი ელემენტების მნიშვნელობა ეთნიკური იდენტურობის განსაზღვრაში, საერთო ქართული კულტურული ერთობის ვარიანტულობა და მისი მიზეზები. იცის ქართველი ხალხის მრავალსაუკუნოვანი სამეურნეო ყოფა, რომელიც მრავალფეროვნებით ხასიათდება და განპირობებულია განსახლების არეალის ბუნებრივ-გეოგრაფიული მრავალფეროვნებით. იცის საქართველოში ისტორიულად და დღეს არსებული რწმენა-წარმოდგენების სისტემების ჩასახვა-განვითარების შესახებ, ასევე მათი კავშირისა და გავლენის შესახებ იდენტობის ფორმირების პროცესში და შესაბამისად საზოგადოების კონსტრუქცია. ფლობს ცოდნას კავკასიელი ხალხების ღირებულებათა სისტემების, იდენტურეობის განმსაზღვრელი ფაქტორების და მათ შორის არსებული კულტურულ-ისტორიული კავშირების შესახებ. საქართველოს ისტორიულ – ეთნოგრაფიული მხარეების განსხვავებები და ამის მიზეზები.

ეთნოლოგიის სამაგისტრო პროგრამის ღრმა და სისტემატიური ცოდნა კურსდამთავრებულს საშუალებას მისცემს შეიმუშაოს ახალი და ორიგინალური იდეები და გააცნობიეროს ცალკეული პრობლემის გადაჭრის გზები; სამაგისტრო პროგრამა ეთნოლოგიის კურსდამთავრებული დაუფლებულია ერთ-ერთ ევროპულ ენას (ინგლისური/ გერმანული /ფრანგული) B2 დონეზე საერთო ევროპული სარეკომენდაციო საბჭოს მიერ შემუშავებული ენის ცოდნის დონეთა განმსაზღვრელი ჩარჩოს მიხედვით და შეუძლია ამ ცოდნის გამოყენება აკადემიური და კვლევითი მიზნებისთვის.

ცოდნის პრაქტიკაში გამოყენება: ეთნოლოგიის მაგისტრს ეთნოლოგიის სამაგისტრო პროგრამის გავლის შემდეგ ექნება სრულფასოვნი ცოდნა ეთნოლოგიის პრაქტიკულ საკითხებზე. კურსდამთავრებულს ექნება უნარი განავითაროს ორიგინალური საკვლევი ჰიპოთეზა, იმუშაოს ინტერდისციპლინარული მიდგომებით და მოახდინოს ცოდნის ინტეგრირება. პროგრამის კურსდამთავრებულები შეძლებენ დამოუკიდებელი კვლევები აწარმოონ საზოგადოების ეთნო-კულტურული პრობლემის შესასწავლად. სწავლის დასრულებისათვის მაგისტრს ექნება პრაქტიკული უნარი დაგეგმოს და აწარმოოს ეთნოლოგიური კვლევები, მოახდინოს შეკრებილი მასალის ანალიზი და სინთეზი, მოამზადოს და საჯაროდ წარადგინოს სამაგისტრო ნაშრომი. ექნება სხვადასხვა მასალის მოძიების ჩვევები, წერილობითი თუ ზეპირი პრეზენტაციის და აკადემიური დისკუსიის უნარი; შესძლებს იმოქმედოს ახალ, გაუთვალისწინებელ და მულტიდისციპლინურ გარემოში; კომპლექსური პრობლემების გადაწყვეტისას გამოძებნის ახალ, ორიგინალურ გზებს, მათ შორის, დამოუკიდებლად განახორციელებს კვლევებს უახლოესი მეთოდებისა და მიდგომობის გამოყენებით. მას სპეციალობით შეუძლია კომპლექსური პრობლემების ამოცნობა/იდენტიფიცირება და მათი გადაჭრა დარგში მიღებული კვლევის მეთოდების გამოყენებით; ცოდნის გამოყენება ახალ, გაუთვალისწინებელ გარემოში ან (მომიჯნავე) მულტიდისციპლინურ კონტექსტში; მაგისტრანტები აითვისებენ ეთნოგრაფიული კვლევის ემპირიულ მეთოდებს. მათ შეეძლებათ საველე სამუშაობის წარმოება. შეძლებენ გამოიყენონ დაკვირვების, ინტერვიურება-ანკეტირების, ტიპოლოგიის მეთოდები. მასალის ფიქსაციისას საველე-კვლევით სპეციფიკას ემატება წერილობითი ფიქსაცია დღიურების, თემატური ბარათების, ანგარიშების სახით, ასევე ვიზუალური ფიქსაცია ტექნიკური საშუალებების გამოყენებით. მაგისტრანტებს შეეძლებათ განახორციელონ პრაქტიკული კვლევები, მოახდინონ ეთნოგრაფიული ფაქტების რეკონსტრუცია, მოვლენების პროგნოზირების უნარის საფუძველზე შეიმუშაონ რეკომენდაციები მნიშვნელოვან

ეთნოკულტურულ საკითხებთან მიმართებაში.
ეთნოლოგიის მაგისტრს შეუძლია უცხოური ენის პრაქტიკული გამოყენება მთელი რიგი წერილობითი კორესპონდენციისა და ზეპირმეტყველების მიზნებისათვის, აქვს საუბრის თავისუფლად წარმართვის უნარ-ჩვევები, ინგლისურ ან სხვა არჩეულ ენაზე სხვადასხვა ტიპის ტექსტების (მათ შორის, სამეცნიერო ლიტერატურის) წაკითხვის, მოსმენის, გაგების, ანალიზის, ინტერპრეტაციისა და რეპროდუქციის უნარი. შეუძლია პროფესიულ საქმიანობაში ან შემდგომი სწავლის პროცესში უცხო ენის ფართო აკადემიური მიზნებისთვის ეფექტურად გამოყენება. კურსდამთავრებულებს ექნებათ ცოდნა და უნარი გამოიყენონ კვლევის დარგობრივი მეთოდები და თანამედროვე სტრატეგიები. კურსდამთავრებულებს, აგრეთვე, გამომუშავებული ექნებათ უშუალოდ მათი საქმიანობის სპეციფიკით გათვალისწინებული სპეციალური უნარ-ჩვევები: კონკრეტული სფეროს საკვლევად ადეკვატური პრინციპების ანალიზის, საკვლევი საკითხის ფორმალიზების, გამოსაყენებელ მეთოდთა შერჩევის, კვლევით მოპოვებული მასალის დამუშავების ჩვევები; გამომუშავებული ექნებათ ფორმალური, პროფესიული წერილობითი ენა.

დასკვნის უნარი: ეთნოლოგიის მაგისტრს შეუძლია ეთნოლოგიის სფეროში რთული და არასრული ინფორმაციის (მათ შორი, უახლოესი კვლევების) კრიტიკული ანალიზის საფუძველზე დასაბუთებული დასკვნების ჩამოყალიბების უნარი; შეძლებს უახლოესი მონაცემებზე დაყრდნობით მოახდინოს ინფორმაციის ინოვაციური სინთეზი; მას აქვს ცოდნის ინტეგრირების უნარი; შეუძლია განყენებული მონაცემებისა და/ან სიტუაციების ანალიზი დარგობრივი სფეროსათვის შესაბამისი როგორც სტანდარტული ისე ინოვაციური მეთოდების გამოყენებით, დასაბუთებული დასკვნის ჩამოყალიბება და მკაფიო არგუმენტებით დასაბუთება; ზუსტი ფორმულირებით გადმოცემა; აქვს პრობლემის სინქრონიაში და დიაქრონიაში ხედვის უნარი; სისტემის (სტრუქტურის) შემადგენელი ცალკეული ელემენტების ურთიერთზეგავლენის გააზრების, სიტუაციაში ადაპტირების და მინიმალური დახმარების პირობებში მუშაობის და გადაწყვეტილების მიღების უნარი. ჯგუფური თუ დამოუკიდებელი მუშაობის პირობებში მას შეუძლია აბსტრაქტული მონაცემებისა და კონცეფციების საჭიროებისამებრ ტრანსფორმაცია და პრობლემის გადაჭრის გზების მონახვა. შეუძლია სასპეციალიზაციო სფეროში კომპლექსური პრობლემების იდენტიფიცირება და მათი გადაჭრა სათანადო ცოდნისა და მეთოდების გამოყენებით.

კომუნიკაციის უნარი: ეთნოლოგიის მაგისტრს შეუძლია დისკუსიაში პროფესიულ დონეზე მონაწილეობა, თავისი დასკვნების, არგუმენტაციისა და კვლევის მეთოდების გაზიარება აკადემიური, სამეცნიერო და პროფესიული წრეებისთვის ქართულ და უცხოურ ენებზე, მას შეუძლია ასევე თანამედროვე საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების აქტიურად გამოყენება დარგობრივ სფეროში. შეუძლია სამეცნიერო ანგარიშის დაწერა, არგუმენტების მოყვანა სხვადასხვა შეხედულებების საწინააღმდეგოდ ან მხარდასაჭერად. ეთნოლოგიის სამაგისტრო პროგრამის სპეციფიკიდან გამომდინარე მსმენელებს გამოუმუშავდებათ კომუნიკაციის უნარი, როგორც მასალის შეერთების პროცესში, ასევე სამეცნიერო კომუნიკაციის უნარი პრეზენტაციისა და დისკუსიაში მონაწილეობის უნარი. დაუფლებული იქნება აკადემიური პატიოსნების სტანდარტებს, საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების მიღწევათა გათვალისწინებით;

სწავლის უნარი: ეთნოლოგიის მაგისტრს აქვს სამუშაო დროის სტრატეგიულად დაგეგმვისა და ორგანიზების უნარი: თავისი კომპეტენციის სფეროში შეუძლია სამუშაოს დაწყებამდე სამუშაოს შესრულების გეგმის დამოუკიდებლად შედგენა, პრიორიტეტების გამოყოფა, მუშაობის პროცესში საჭირო რესურსების უზრუნველყოფა და გამოყენება. სასწავლო კურსის დასრულების შემდეგ მაგისტრანტი დაუფლებული იქნება სისტემურ უნარებს, რაც საშუალებას მისცემს მას იოლად შეძლოს ადაპტირება ახალ სიტუაციაში, იკვლიოს (იმუშაოს) ინდივიდუალურად და საჭიროების შემთხვევაში იკვლიოს ჯგუფთან ერთად; გააცნობიერებს და სტრატეგიულად დაგეგმავს და გაიცნობიერებს სწავლების პროცესს. მას კარგად აქვს გაცნობიერებული ცოდნის გაღრმავების აუცილებლობა; შეუძლია საკუთარი სწავლის პროცესის დამოუკიდებლად წარმართვა რესურსების ფართო სპექტრის გამოყენებით; საკუთარი სწავლის პროცესის თავისებურებების გაცნობიერებით მისი თანმიმდევრულად და მრავალმხრივად შეფასება, შემდგომი სწავლის საჭიროებების დადგენა. სწავლების პროცესში სტუდენტებს გამოუმუშავდებათ საკუთარ თავზე მუშაობის და მაგისტრატურაში მიღებული ცოდნისა და უნარების დარგობრივ საქმიანობაში დამოუკიდებლად სრულყოფის უნარი; შეუძლია სამეცნიერო დარგობრივ ლიტერატურაზე დამოუკიდებელი მუშაობით ცოდნის განახლება; მას აქვს განათლების შემდგომ (სადოქტორო) საფეხურზე სწავლის გაგრძელების შესაძლებლობა.

ღირებულებები: ეთნოლოგიის მაგისტრს კარგად აქვს გაცნობიერებული პროფესიული, სოციალური და

ეთიკური პასუხისმგებლობები და სათანადო აკადემიური და ეთიკური ნორმები. იცავს აკადემიური პატიოსნებისა და ეთიკის სტანდარტებს; ინტერპერსონალური ურთიერთობების ეთიკას. მაგისტრატურადამთავრებულები შეძლებენ დამოუკიდებლად იკვლიონ ღირებულებათა ფორმირებისა და მათი მნიშვნელობის საკითხები, ასევე შეეძლებათ ღირებულებათა დამკვიდრების მეთოდების შემუშავება; შეეძლება წვლილი შეიტანოს ახალი ღირებულებების დამკვიდრებაში. ეთნოლოგიის სამაგისტრო პროგრამა ხელს შეუწყობს ტოლერანტი, შემწყნარებელი, სხვათა კულტურის დამფასებელი ადამიანის ჩამოყალიბებას; იქნება დამფასებელი არა მხოლოდ ქართული, არამედ მსოფლიოს სხვა ხალხების ეთნიკური კულტურისაც.

სწავლების შედეგების მიღწევის მეთოდები: სწავლის შედეგების მისაღწევად ეთნოლოგიის სამაგისტრო პროგრამა ლექციის, სამუშაო ჯგუფის, პრაქტიკული მეცადინეობის, საშინაო დავალების, შუალედური შეფასების, პრეზენტაციის, დასკვნითი გამოცდის, სამაგისტრო ნაშრომის და სხვ. ფორმატში იყენებს სხვადასხვა მეთოდს (ვერბალური მეთოდი, წიგნზე მუშაობის მეთოდი, ინდუქცია, დედუქცია, ანალიზი და სინთეზი, ჯგუფური მუშაობა, დისკუსია/დებატები, ახსნა -განმარტებითი მეთოდი, დემონსტრირების მეთოდი, ქმედებაზე ორიენტირებული სწავლება, წერითი დავალებები და სხვ.).

სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა. მაგისტრანტის ცოდნა ფასდება 100 ქულიანი სისტემით; მინიმალურ შეფასებას წარმოადგენს 51 ქულა; შეფასება ხორციელდება მინიმუმ ოთხი კომპონენტის მიხედვით. შეფასების კრიტერიუმები მოცემულია კონკრეტულ სილაბუსში (დასწრება – 10 ქულა, სასემინარო მუშაობა 20 ქულა, I შუალედური გამოცდა – 15 ქულა, II შუალედური გამოცდა – 15 ქულა, საბოლოო წერითი გამოცდა – 40 ქულა).

ზოგადი ჩარჩო ასეთია:

91-100	ფრიადი, A
81-90	ძალიან კარგი, B
71-80	კარგი, C
61-70	დამაკმაყოფილებელი, D
51-60	საკმარისი, E
41-50	ვერ ჩააბარა, FX
0-40	ჩაიჭრა, F

დასაქმების სფეროები: პროგრამის დასრულების შემდეგ ახალგაზრდები შეძლებენ საქმიანობა გააგრძელონ სამეცნიერო–კვლევითი და სასწავლო დაწესებულებებში; მუზეუმებში, ეთნოლოგიური პროფილის დაწესებულება-ორგანიზაციებში, სახელმწიფო და არასამთავრობო სტრუქტურებში, შესძლებენ ტურისტების მომსახურეობას (განსაკუთრებით უცხოელ ვიზიტორებს გააცნობენ ქართველი ხალხის ტრადიციულ ყოფასა და კულტურას. Uცხოელ ტურისტებთან მუშაობას მათ ევროპის, ამერიკის და აზიის ეთნოგრაფიული ცოდნაც დაეხმარებათ).

სწავლის გაგრძელების საშუალება: აღნიშნული პროგრამის კურსდამთავრებულს შეუძლა სწავლა გააგრძელოს დოქტორანტურაში.

სასწავლო გეგმა იხ. დანართი № 1

სილაბუსები: იხ. დანართი № 2

სამაგისტრო პროგრამის ხელმძღვანელი: ასოცირებული პროფესორი როლანდ თოფჩიშვილი

ინფორმაცია პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი ადამიანური რესურსების შესახებ: ასოცირებული პროფესორი რონალდ თოფჩიშვილი; სრული პროფესორი ხუციშვილი ქეთევან; ასოცირებული პროფესორი გოცირიძე გიორგი; ასოცირებული პროფესორი ქურდოვანიძე თეიმურაზ; ასოცირებული პროფესორი თინათინ ბოლქვაძე; მოწვეული პროფესორი გუჯეჯიანი როზეტა; მოწვეული პროფესორი

ნოდარი შოშიტაშვილი; მოწვეული პროფესორი ბითაძე ლიანა; მოწვეული პროფესორი ბახია-ოქრუაშვილი სალომე;

ინფორმაცია პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი მატერიალური რესურსების შესახებ: ეთნოლოგიის სამაგისტრო პროგრამა ხორციელდება თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ეთნოლოგიის ინსტიტუტის ბაზაზე (მისამართი: ი.ჭავჭავაძის გამზ, თსუ მერვე კორპუსი), რომელიც აღჭურვილია პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი მატერიალურ–ტექნიკური რესურსით, რაც უზრუნველყოფს პროგრამით გათვალისწინებული მეთოდების, უახლესი ქართულენოვანი სახელმძღვანელოების გამოყენებით სწავლებას და, შესაბამისად, სწავლის შედეგების მიღწევას. გარდა ამისა, პროგრამის სტუდენტები ზოგადჰუმანიტარული პროფილის და დამატებითი საბაკალავრო პროგრამების სასწავლო დისციპლინებს, არჩევით სასწავლო კურსებს ეუფლებიან თსუ და თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის სხვა სასწავლო კორპუსებშიც. ეთნოლოგიის სამაგისტრო პროგრამის სტუდენტთათვის ხელმისაწვდომია როგორც თსუ ცენტრალური, ისე ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ბიბლიოთეკები; ასევე ინსტიტუტის წიგნადი ფონდი; უნივერსიტეტისა და ფაკულტეტის კომპიუტერული რესურს-ცენტრები.

პროგრამის ფინანსური უზრუნველყოფა: პროგრამის ფინანსური უზრუნველყოფა ხდება ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ბიუჯეტიდან, რომელიც უნივერსიტეტის ბიუჯეტის შემადგენელ ნაწილს წარმოადგენს. საფაკულტეტო ბიუჯეტი უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელებაში ჩართული აკადემიური პერსონალისა და მოწვეული ლექტორების შრომის ანაზღაურებას, პროგრამის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის მოვლასა და სრულყოფას.